ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №090503/10/028

(კოდი 44500000)

ქ. თბილისი 31 მარტი 2011 წელი

ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა, გამგებლის თ. გრიგალაშვილის სახით, (შემდგომში წოდებული, როგორც "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ ი/მ „მურმან ხახანაშვილი" (შემდგომში წოდებული, როგორც "მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია რაიონის ბიუჯეტის სახსრებით გამწვანების აქციებთან დაკავშირებით სხვადასხვა დასახელების სასოფლო სამეურნეო იარაღის სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

II. ხელშეკრულების ობიექტი

2.1. ხელშეკრულების ობიექტია გამწვანების აქციებთან დაკავშირებით სხვადასხვა დასახელების სასოფლო სამეურნეო იარაღის – 20 ერთეული ბარის (ერთ. ფასი 7.5 ლარი, სულ 150 ლარი), 4 ერთეული წერაქვის (ერთ. ფასი 16.5 ლარი, სულ 66 ლარი), 10 ერთეული ფოცხის (ერთ. ფასი 7.0 ლარი, სულ 70 ლარი), 10 ერთეული ნიჩაბის (ერთ. ფასი 7.5 ლარი, სულ 75 ლარი), 3 ერთეული ვედროს (ერთ. ფასი 9.1 ლარი, სულ 27.3 ლარი), 2 ერთეული სარწყავის („ლეიკა") (ერთ. ფასი 14 ლარი, სულ 28 ლარი) და 50 მ რეზინის მილის (ერთ. ფასი 1.4 ლარი, სულ 70 ლარი) მიწოდება.

III. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში;

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 486.3 (ოთხას ოთხმოცდაექვსი ლარი და 30 თეთრი) ლარს, საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების ღირებულებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

IV. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 დღე;

4.2. მიწოდების ადგილი-რაიონის გამგეობის შენობა, ნავთლუღის ქუჩა №8-1.

V. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ორივე მხარის უფლებამოსილი პირების ხელმოწერით, ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე.

VI. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში;

6.2. შესყიდული საქონლის ღირებულების ანაზღაურება როგორც წესი მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის იურიდიულ მისამართზე;

6.3. ანაზღაურების ადგილი ქ.თბილისი.

VII. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მიღებისთანავე აწარმოოს შესყიდული საქონლის ხარისხის ინსპექტირება;

7.2. ინსპექტირებას განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი: ბ. გაზდელიანი-გამგებლის მოადგილე, შ. გრიგოლია-ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი,

ა. ნებიერიძე-საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტი და გ. გოშაძე-საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
7.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

VIII. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერიდან 2011 წლის 20 აპრილის ჩათვლით.

IX. სხვა პირობები

9.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;
9.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;
9.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
9.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ორი ეგზემპლარი-შემსყიდველთან, ერთი ეგზემპლარი-მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
9.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები და ბეჭედი

შემსყიდველი:
ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა
მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1
სს „ლიბერთი ბანკის"
ცენტრალური ფილიალი
ა/ა GE95LB 0125152101627000
კოდი LBRTGE22
საიდენტ. კოდი 208204959

გამგებელი:
_____ თ.ბერიგალაშვილი

მიმწოდებელი:
ი/მ „მურმან ხახანაშვილი"
მის.ქ.თბილისი, გულუას ქუჩა №1
სს „პროკრედიტბანკის"
გამსახურდიას განყოფილება
ა/ა GE16 PC02 4360 0100 0152 96 GEL
კოდი MIBGGE22 220101922
საიდენტ. კოდი 01011014556

ხელმძღვანელი:
_____ მ. ხახანაშვილი